გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება № 35

2022 წლის 17 ოქტომბერი

ქ.გორი

„გორის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და გორის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის №19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის და საქართველოს ორგანული კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს**:

მუხლი 1. „გორის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და გორის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის №19 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge 16/11/2017, 010260020.35.148.016405) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება:

ა) დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის 98-ე და 99-ე გრაფებს შორის არსებული გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

შიდა აუდიტის სამსახური

ბ) დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის 102-ე და 103-ე გრაფებს შორის არსებული გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ანალიტიკის განყოფილება

გ) დადგენილებით დამტკიცებული დანართი N1-ის 113-ე გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

113	ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი		გორის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლის ასისტენტი	63	990

დ) დადგენილებით დამტკიცებული დანართი N1-ის 114-ე გრაფა ამოღებული იქნას.

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**